ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 3-11

"21" ივლისი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.დ" ქვეპუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "ქ. თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 26 ივლისის N11–30 გადაწყვეტილება.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (შემდგომში – საკრებულო) საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია (შემდგომში – კომისია).

2. კომისიის მიზანს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის, განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვა და სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავება.

3. კომისია განიხილავს საკრებულოს მიერ დედაქალაქში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის საკითხებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს.

4. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.

5. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს ამ დებულების, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

თავი II
კომისიის სტრუქტურა, კომპეტენცია და კომისიის წევრთა უფლებამოსილებანი

მუხლი 2

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს არანაკლებ 5 წევრით.

2. კომისიის წევრებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და იმ საკრებულოს წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში, ამტკიცებს საკრებულო.

3. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საკრებულოს წევრი.

მუხლი 3

1. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) შეიმუშავებს, განიხილავს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ბ) მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვაში, ამზადებს დასკვნებს და გადასცემს საკრებულოს შესაბამის ორგანოებს;

გ) ამზადებს რეკომენდაციებს, წინადადებებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით და წარუდგენს საკრებულოს ან გზავნის დანიშნულებისამებრ;

დ) განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და შეიმუშავებს დასკვნას;

ე) აკონტროლებს საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

ვ) ისმენს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებებს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

ზ) წყვეტს თავისი საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამყარებს ურთიერთობებს საქართველოს, უცხოეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან;

ი) განიხილავს საკითხებს დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი რაიონების შექმნის, არსებული რაიონების გაერთიანების, დაყოფის, გაუქმების, მათი საზღვრების დადგენის, შესაბამისი რაიონების გამგეობების შექმნისა და გაუქმების, რაიონების სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფის შესახებ;

კ) ახორციელებს ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ უფლებამოსილებებს.

2. კომისია საკრებულოს წარუდგენს დასკვნებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით, მათ შორის:

ა) თბილისში არსებული ძველი უბნების რეაბილიტაციისა და განვითარების შესახებ;

ბ) თბილისში არსებული ძველი უბნების ტურისტული და სხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ;

გ) დედაქალაქის ისტორიული ზონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ეფექტიანი დაცვის შესახებ;

დ) თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და გეგმების, კეთილმოწყობის და გამწვანების პროგრამებისა და გეგმების განხილვისა და დამტკიცების შესახებ;

ე) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის განხილვისა და დამტკიცების შესახებ;

ვ) დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების წესების შესახებ;

ზ) დედაქალაქის ტერიტორიის ზონებად დაყოფისა და მის საფუძველზე მიწათსარგებლობის წესების დამტკიცების შესახებ;

თ) დედაქალაქის რაიონისათვის ან უბნისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების; გამწვანების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონების გამოყოფის, მათთვის სახელწოდების მინიჭების, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ;

ი) ყველა სახის იმ პროგრამისა და პროექტის შესახებ, რაც დაკავშირებულია ძველი თბილისის ისტორიული იერსახის აღდგენა-შენარჩუნებასთან;

კ) საქალაქო მეურნეობის დარგების ინფრასტრუქტურის მოწყობის განვითარებისა და რეაბილიტაციის საკითხებზე;

ლ) ადგილობრივი საჯარო მომსახურების რეგულირების საკითხებზე;

მ) საქალაქო მეურნეობის დარგების რეგულირებად სფეროებში მოსაკრებლებისა და ადგილობრივი გადასახადების განსაზღვრის შესახებ;

ნ) დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის წესის შესახებ;

ო) დედაქალაქის მოსახლეობის საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისათვის სანებართვო წესების დადგენისა და დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების წესების განსაზღვრის შესახებ;

პ) გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესების დადგენის შესახებ;

3. კომისია განიხილავს და სათანადო რეაგირებას ახდენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებებსა და საჩივრებზე.

4. განიხილავს იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც ირჩევს ან თანხმობას აძლევს დანიშვნაზე საკრებულო, რის თაობაზეც დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს.

5. კომისია ახორციელებს ამ დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ უფლებამოსილებებს.

მუხლი 4.

1. კომისიის წევრს უფლება აქვს:

ა) თანაბარ საწყისებზე მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში, განსახილველ საკითხზე გამოთქვას შენიშვნები, მოსაზრებები და წარმოადგინოს წინადადებები;

ბ) ნებისმიერ დროს გავიდეს კომისიის შემადგენლობიდან.

2. კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში;

ბ) შეასრულოს კომისიის მიერ დაკისრებული მოვალეობები.

თავი III
კომისიის სხდომები

მუხლი 5.

1. კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია, მაგრამ არანაკლებ თვეში 1 სხდომისა. კომისიის მორიგი სხდომა მოიწვევა წინასწარ განსაზღვრულ დროს. კომისიის მორიგი სხდომის ჩატარების დროს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის სხდომის მასალები ურიგდებათ და ინფორმაცია მისი დღის წესრიგისა და თარიღის შესახებ კომისიის წევრებს ეცნობებათ სხდომამდე შესაძლოდ მოკლე ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ერთი დღისა.

3. კომისიის მორიგი სხდომის დღის წესრიგი სხდომამდე არაუგვიანეს ერთი დღისა განთავსდება საკრებულოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

5. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაესწრონ კომისიის სხდომას და მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში. ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს რეგლამენტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

6. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრის დროს

ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. კომისიის სხდომა საჯაროა და მას შეიძლება დაესწროს ნებისმიერი დაინტერესებული პირი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. განსაკუთრებულ შემთხვევაში იმართება დახურული სხდომა. დახურული სხდომის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

8. კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ საკრებულოს წევრები, რომლებიც არ შედიან ამ კომისიის შემადგენლობაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრები, რომელთაც სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მიეცემათ სიტყვით გამოსვლის უფლება. კომისიის სხდომაზე დასასწრებად ასევე შეიძლება მოწვეულ იქნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დადგენილი წესით აკრედიტებული წარმომადგენლები.

მუხლი 6.

1. კომისიის სხდომაზე განიხილება კომისიაში შემუშავებული და შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფორმაციები, მოქალაქეთა საჩივრები და განცხადებები, მთავრობის წევრთა და თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებები და სხვა საკითხები.

2. კომისია იღებს გადაწყვეტილებას რეკომენდაციის, დასკვნის, წინადადების სახით.

3. კომისიის გადაწყვეტილებები წარედგინება საკრებულოს სხდომას და/ან იგზავნება დანიშნულებისამებრ.

4. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებულნი არიან წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

5. საკრებულოს მიერ არჩეული და მისი თანხმობით დანიშნული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომისიამ.

მუხლი 7.

საკრებულოს თავმჯდომარის მოთხოვნით ან შესაბამისი კომისიების გადაწყვეტილებით შეიძლება გაიმართოს კომისიების ერთობლივი სხდომა. ერთობლივ სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომისიები ცალ-ცალკე კენჭისყრით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

თავი IV
კომისიის თავმჯდომარე

მუხლი 8.

1. კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო.

2. კომისიის თავმჯდომარე:

ა) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს კომისიის სხდომებს;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;

გ) ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, საკრებულოს რეგლამენტით და ამ დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ე) ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებს;

ვ) მოქმედებს კომისიის სახელით;

ზ) ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომისია კომისიის წევრთაგან განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის.

მუხლი 9.

1. კომისიის თავმჯდომარე საკრებულომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვან საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა, კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტმა და საკრებულოს თავმჯდომარემ.

2. კომისიის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

3. კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განაცხადოს თავისი გადადგომის შესახებ. შესაბამისი განცხადება წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც მას გააცნობს საკრებულოს. კომისიის თავმჯდომარე გადამდგარად ითვლება საკრებულოს თავმჯდომარისათვის განცხადების წარდგენის დღიდან.

4. კომისიის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების ან მისი, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საკრებულო უახლოეს სხდომაზე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ირჩევს კომისიის ახალ თავმჯდომარეს.

თავი V
კომისიის სამდივნო

მუხლი 10.

1. კომისიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება კომისიის სამდივნო, რომელიც წარმოადგენს კომისიისადმი დაქვემდებარებულ საკრებულოს აპარატის მუდმივმოქმედ სტრუქტურულ ერთეულს.

2. კომისიის სამდივნო:

ა) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმებას;

ბ) ახორციელებს საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებასა და საქმისწარმოებას;

გ) მუშაობს კომისიის დებულებით განსაზღვრულ საკითხებზე, ასრულებს კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის დავალებებს;

დ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს აპარატის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. კომისიის სამდივნოს შემადგენლობაში შედიან კომისიის სამდივნოს უფროსი, საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული მოსამსახურეები, ასევე შტატგარეშე მოსამსახურეები და საზოგადოებრივ საწყისებზე მოწვეული სპეციალისტები.

4. კომისიის სამდივნოს საშტატო ნუსხით გათვალისწინებული მოსამსახურეების დანიშვნის მიმართ გამოიყენება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

5. კომისიის სამდივნოს შტატგარეშე მოსამსახურეების მიმართ გამოიყენება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი.

თავი VI
დასკვნითი დებულებები

მუხლი 11.

კომისიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

განმარტებითი ბარათი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულების მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ამოქმედება, რომელთა შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დღის წესრიგში დგება ახალი დებულების დამტკიცების საჭიროება.

ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კომისიის დებულების პროექტი განსაზღვრავს საკრებულოს კომისიათა შემადგენლობის დაკომპლექტების ახალ წესს, კერძოდ, კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებულია კომისიებში საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და უფრაქციო წევრთა პროპორციული გადანაწილების წესი.

პროექტში, საკრებულოს თანამდებობის პირთა ჩამონათვალიდან ამოღებულია საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

პროექტით, კოდექსთან შესაბამისობაში მოდის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნაზე უფლებამოსილი პირი.

დებულების პროექტით ასევე ზუსტდება სხვადასხვა ტექნიკური საკითხები, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

ბ) პროექტის საფინანსო–ეკონომიკური გაანგარიშება

პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტზე.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

დ) პროექტის წარმდგენი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე